ჩანგი

№ 9

სამშაბათი, 14 ივლისი

1909 წ.

გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 3 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი პეტიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ საღამოს 5 ს.-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს.-საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.** ინახებს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პრინციპიალურ წერილებზე გონორარის შესახებ საჭიროა წინდაწინ მოლაპარაკება. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. წერილები სუფთად უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელათ საჭიროა ორი აბაზი. **ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ, типографія „Сорапань", **Калистрату Константиновичу Цуладзе.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით **7** მან.,
ნახევარი წლით **4** მან.

ქალაქ გარეთ	**თფილისში**
3 თვით—2 მან. 50 კაპ.	3 თვით—2 მან. 20 კაპ.
1 „ — — 90 „	1 „ — — 80 „

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

ცალკე ნომერი ყველგან—**ერთი შაური**

რეალური სასწავლებელი ოზურგეთში

როგორც ვიცით, ამა წლის სექტემბრიდან ქალაქ ოზურგეთში უნდა გაიხსნას რეალური სასწავლებელი. ყველა საზოგადოებებმა თანხმობა გამოაცხადეს შემოიტანონ 60,000 მანეთი სასწავლებლის ასაშენებლად და 10,000 მანეთი მის პირველ მოსაწყობად, რომლის შეკრებას საზოგადოებები უკვე შეუდგენ.—ეს თანხა სასწავლებლის სრულად მოსაწყობად არ არის საკმარისი. ამისთვის, მთელი გურიის წარმომადგენელთა კრების წინადადების თანხმად სამაზრო სასკოლო კომისიამ დაადგინა: მიიღოს შემოწირულებანი იმ პირთაგან, რომლებმაც სურვილი განაცხადეს და აწი განაცხადებენ, დაეხმარონ გურიაში რეალური სასწავლებლის აღორძინებას.

წარმომადგენელთა კრების და სამაზრო სასკოლო კომისიის დადგენილების თანახმად შემოწირული ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Въ гор. Озургеты Городскому Старостѣ Б. Бебуришвили для врученія казначею по реальному училищу кн. Д. К. Эристову. 3—2

აბასთუმანში

კბილის ექიმი

სამსონ ვაშაყმაძე

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

გაიხსნა ახალი

თფილისის

კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. ვ. ღამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ხ. ა. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყმელის, ცხვირის და ყურის ავათყ.

ექ. ხ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიხამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—2½ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—10

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

ჭიათურის

საქალებო პროგიმნაზიაში

რომელშიაც სექტემბრიდან მესამე კლასიც იხსნება, მიიღება მოსწავლეები 25 აგვისტოდან ყველა კლასებში. 10—6.

დ. სამტრედიაში

საექიმო კაბინეტი ქირურგიულ ავათმყოფთა ამბულატორიით. ექიმი ი. ევნ. **ჯაში.** ავათმყოფების მიღება **ყოველ დღე.**

დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნი. მ. დ. ფულარიას თაოსნობით იხსნება 4 კლასიანი საქალებო კერძო

პროგიმნაზია.

გამოსაცდელი ეგზ. მენები დაიწყება 15 აგვისტოდან, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბრიდან. 26—25.

მასწავლებელი ქალი

ამზადებს ქალ-ვაჟთ საშუალო სასწავლებლების მეოთხე კლასამდის. ადრესი: მიხაილოვის ქუჩა № 76 ბინა № 3. ან და „სორაპნის" სტამბაში—„გუშაგის" რედაქცია. 3—3

ფერშალი

ლ. ბარკალაია

უცრის ყვავილს, იღებს ყელჭირვებით, ხუნაგით და ვენერიული სენით ავათმყოფებს 3 საათიდან 6 საათამდე. გოგოლის ქუჩა № 68.

თფილისი, 14 ივლისი

კავკასიაში რეფორმების შემოღებაზე რომ ლაპარაკი მეტია, ვინემ საქმის გაკეთება, ეს აშკარაა. აშკარაა აგრეთვე, რომ ასეთი სენი თანდაყოლილია ბიუროკრატიულ მართვა-გამგეობის სისტემისა. ამაზე არ მსურს მე დღეს ლაპარაკი. მე მინდა აღვნიშნო სულ სხვა გარემოება, რომელიც არა ნაკლებ უშლის ხელს კავკასიის ყოველგვარ რეფორმების საკითხების გამორკვევასაც. ეს გარემოებაა, როგორც გაზ. „ნ. თფილისი" ამბობს, ის, რომ ყველას უნდა რეფორმა სწორეთ მისთვის იქნეს სასარგებლო. გაზეთი ასეთ მისწრაფებას იმით ხსნის, რომ არსებობს „კლასიური, ეროვნული, წოდებრივი ეგოიზმი", რომელსაც ხშირათ არ ამხელენ აშკარათ, მარა რომელიც ნამდვილათ ამოქმედებს და ალაპარაკებს იმათ, ვის აზრსაც თხოულობენ ხოლმე ამა თუ იმ რეფორმის შესახებ. ასეთია ახლაც საერობო თათბირის მდგომარეობაც.

რომ კლასიური, ეროვნული და წოდებრივი ინტერესები აქაც იჩენენ თავს, ეს აშკარაა; ეს ასეც უნდა იყოს. იმ წრის კლასიური ინტერესები, რომელსაც თათბირში აქვს ხმა მიცემული, შეიძლება არც იმდენათ განირჩეოდენ ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით იქ, სადაც საქმე ერობის დემოკრატიზაციას ეხება. ამ საკითხში ისინი ერთნაირათ დაპირდაპირებული არიან ხალხზე და მის ინტერესებზე და ცხადია, ერთნაირათ ცდილობენ მისი უფლებების მინიმუმამდე დაყვანას. ამას ნათლათ მოწმობს ის საერთო მიმართულება, რომელიც მათ მიუღიათ იმავე გაზეთის სიტყვით. მათ უნდათ რაიმე მიიღონ და ამ მიზნით, (თითქო მხოლოდ ამ მიზნით) მთავრობას ევაჭრონ, და არა ის, რომ მცხოვრებთა სურვილი და მისწრაფება გამოხატონ, ე. ი. ადგილობრივ საზოგადოების ხმათ იქცენ. ამ „რეალურ პოლიტიკას" რა შედეგი მოყვება, ამას მალე დავინახავთ. ყოველ შემთხვევაში, აქედან დემოკრატია არაფერს გამოელის. მარა არის უთანხმოება, რომელიც მათ რეალურ პოლიტიკასაც ყინულზე გაცურებას უქადის. ესაა ეროვნული მისწრაფებები იმ წრეების, რომელთაც ეკითხებიან, ე. ი. მაღალ კლასთა წარმომადგენლების.

კავკასია ეროვნებათა ქვეყანაა, აქ ათასი სჯულის და ტომის ხალხია დამკვიდრებული. და მათ შორის საერთო კულტურულ დაწესებულებების შექმნა არც ისე ადვილი საქმეა. კიდევ მეტი. ის გაბატონებული კლასებისათვის შეუძლებელია.

მთავრობა, როგორც ვიცით, ამ შემთხვევაში, ეჭვი არაა, ყარსის თვითმართველობის მაგალითით იხელმძღვანელებს, ე. ი. რუსებსა არა რუს მცხოვრებთ დაუპირდაპირებს და პირველთა უპირატესობის უზრუნველყოფაზე იზრუნებს, მარა არა უკეთეს პოლიტიკას ადგანან თვით ადგილობრივ ერთა მაღალი წრეები. მათი პოლიტიკური თვალსაზრისიც თავის წრის ინტერესებს ვერ გაშორებია და ეს ინტერესები კი მათ თავის ერის ინტერესების სახელით სხვა ერის ინტერესთა დაჩაგვრას უკარნახებენ. 1905 წლის საერობო რჩევაშიაც, როგორც ვიცით, თვითეულმა ერმა თავისი განსაკუთრებული, სხვებისგან განსხვავებული პროექტი გამოიტანა კავკასიის ერობის შესახებ. ქართველების, სომხების და თათრების პროექტები, ე. ი. ერთმანეთისაგან განირჩეოდენ და ხშირათ კავკასიის მაგიერ მხოლოდ იმ ადგილების შესახებ იძლევიან პასუხს, სადაც ამა თუ იმ ერის უმრავლესობა ცხოვრობს. თვითეული ერობის ტიპს და მის ორგანიზაციას თითქო თავის ეროვნული არსებობის ინტერესებს უხამებდა, მარა ნამდვილათ კი, სხვა ერისთვის ფეხის დახვედრებას ცდილობდა. მართლაც, ცხოვრება და ისტორია გვიჩვენებს, რომ გაბატონებულ კლასებს სხვა გვარათ არ შეუძლიათ კითხვის გადაჭრა იქ, საცა ეროვნული საქმეა გადასაწყვეტი, საცა მის კულტურულ და ეკონომიურ ინტერესებს ეხებიან. ერობა კი სწორეთ ასეთ დაწესებულებას წარმოადგენს. მის გარშემო და მისი საშვალებით მაღალი კლასები ცდილობენ თავისი ნაციონალისტური მისწრაფების ნაწილათ მაინც განხორციელებას და აი, ამ ნიადაგზე მათ შორის იმართება ქიშპობა და უთანხმოება. ცხადია, საკითხის გადამწყვეტ პასუხს ვერც ერთი ვერ მისცემს. ერთი ეროვნების დაცვა და მეორის უყურადღებოთ დატოვება, ან, უარესი, აბუჩათ აგდება, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ამ ნიადაგზე რაიმე შეთანხმება და მორიგება მათგან შეუძლებელია. ეროვნულ ინტერესების დაცვაში მორიგება შეუძლია მხოლოდ დემოკრატიას, ხალხს და მის ინტერესების დამცველთ, რადგან დემოკრატიის ინტერესები ყველა ერში ერთგვარია და ერთმანეთზე დამოკიდებული, —გაბატონებულ კლასების ინტერესებიც ერთგვარია, მარა მეორის დაჩაგვრაზე აშენებული. მხოლოდ დემოკრატია არაა დაინტერესებული სხვისი ინტერესების დაჩაგვრაში და ამიტომ მხოლოდ მას შეუძლია კითხვას სწორი და ნამდვილი გადაწყვეტილება მისცეს. ასეა ერობის საკითხშიაც. აქაც ეროვნული თანხმობის მოპოვება შეუძლია მხოლოდ დემოკრატიას და არა იმათ, ვისაც დღეს აქვს მინდობილი ამ საგანზე თათბირი და ეს ეროვნული ქიშპობა, ეროვნული წინააღმდეგობა ნაციონალისტურ ელემენტების ერთი ზედ-მეტი საბაბია რეფორმების დაგვიანების, საბუთია მათი შემოუღებლობის, ხელის შემშლელია მათი განხორციელების. აქ თვითეული მაღლა წრეებში გავლენით და სხვა საკულისო მოქმედებებით ცდილობს თავისი გაიტანოს, თავისი ინტერესი დაიკმაყოფილოს. ამით რეალური პოლიტიკა—პოლიტიკანობათ იქცევა, დემოკრატია ითელება, ეროვნული კითხვა მწვავდება. გამოსავალი აქედან ერთია: დემოკრატიის ძლიერი ხმა, რომელიც ერთსაც შეაჩერებს და მეორესაც. სანამ ეს ხმა არ იქნება, ჩვენც კავკასიის ერობას არ ველით და ხალხს მასზე თათბირს ვერ მივულოცავთ.

ადგილობრივი პრესა

—

ბრწყინვალე გვამების მკლავაძეობა და მუშტით აზრის გასწორება—არ ახალია, ძველია; ამის შესახებ არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი გმობა და გულის წყრომა. და განა შეიძლება სხვაგვარათ მოექცეს მას ცოტათ თუ ბევრათ მაინც გონიერებაში ჩახედული ადამიანი, როცა თვით „ივერიის" მეთვალყურეც კი გმობს ასეთ საქციელს?

აბა დაუგდეთ ყური: აღწერს რა დაწვრილებით თუ როგორ და რისთვის ატყდა „რაინდული მუშტით ცემა სათავადაზნაურო ბანკის ბაღში", იგი განაგრძობს:

> ეს მუშტის გაბატონება, ძალადობა, ზნეობრივ პრინციპების უკუ-გდება ჩვენებურ (თუ თავად-აზნაურულ?) უკულტურობის ნიშნობლივი მოვლენა ხდება. არ მეთანხმები?—გაგლახავ! არ მომცემ რაც მინდა? მუშტი! არ გაჩუმდები? სილა და რევოლვერი. როდესაც ამ გზას ადგებიან ტარიელ-მკლავაძეები, არ გიკვირს,—აღზრდა და ნაცნობ-მეგობრობა მათ ბრძოლის სხვა საშვალებას უმალავს. ჩვენ აშფოთებას იწვევს ტარიელ-მკლავაძეობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას განათლებული ან შეგნებული ადამიანი ადგება. ასეთ ტარიელ-მკლავაძის სახელი აქვს მაგ. თავ. გ. ამილახვარს, რომელსაც ათასნაირ ძალმომრეობას აბრალებენ. ასეთი ტარიელ-მკლავაძეები არიან ის „ზაკავკაზიე" და გარშემო თავმოყრილი ახალგაზდები, რაინდები, გატაცებით დაპარაკობენ ხოლმე სხვის გალახვაზე, მუშტით და რევოლვერით აპირებენ ხოლმე მოწინააღმდეგის დამარცხებას, ქუჩაში და საზოგადო ბაღში ეცემიან მოწინააღმდეგეს, ქალის დანაშაულობისთვის მასთან მყოფ კაცს ლახავენ, ამართლებენ ასეთ გალახვას, გაჩუმებული არიან და ამ სიჩუმით გალახვის და მუშტ-კრივის გამართლებას ხელს უწყობენ. („ივ." № 28).

ჩვენ სრულიად თანახმა ვართ, რომ ეს დიდი უკულტურობაა და ამ უკულტურობას იჩენენ, რასაკვირველია, არა პირველათ ჩვენი ბრწყინვალე წოდების ძენი, იმ წოდების, რომელსაც „ივერია" ეროვნულ საქმეს აკისრებდა და ქვეყნის ხსნას ავალებდა. განა ამის მეტს გამოელოდა მათგან?

ხოლო ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა ეს მუშტი-კრივი—სწორეთ იმ შოვინიზმის ქადაგებაა, შოვინისტური აზრებია, რომლითაც სავსეა „ზაკავკაზიესთან" ერთად გაზ. „ივერიაც".

ბ. მეთვალყურე თავის მოძმის თვალში დვირეს ამჩნევს, მარა რატომ ვერ ხედავს ისეთსავე დვირეს თავის თვალში? განა ის არ ამბობდა, სომხებს უფლება აქვთ ქართველების „ჩაყლაპვას" ეცადონ, და ქართველებმა სომხებისა? ამ ლოღიკიდან კი ის გამოდის, რომ „ივერიისგან" ქართველ მესვეურათ მიჩნეულ ქართველ „ზუბრთაც" უფლება აქვთ „ჩაყლაპვის" თეორია აწარმოვონ და ამ მიზნით თავისი საშვალებები იხმარონ, ე. ი. მუშტი-კრივი დატრიალონ?

თუ ამას ივ. ხაჩატუროვს ვაპატიებთ ხომ „ზუბრებსაც" უნდა ვაპატიოთ? აქ ხომ ორივე „ჩაყლაპვის" თეორიით ხელმძღვანელობს ე. ი. „ივერიის" პროგრამას ანხორციელებს.

განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველი „რეჩებს" და ფულს აძლევს უპირატესობას. მეორენი—მუშტსა და კრივს. არსებითათ კი, ორივე წმინდა შოვინიზმია და მაშასადამე, დასაგმობი და გასაკიცხი. მუშტ-კრივი ამასთანავე სრული უკულტურობის მაჩვენებელია, ველურ გრძნობათა გამოჩენაა და ამ მხრით ორჯერ უფრო დასაგმობი და გასაკიცხია. ერს და ეროვნულ საქმეს ერთიც ვნებს და მეორეც. ამიტომ ჩვენ არ მოგვწონებია ივ. ხაჩატუროვის საქციელი და ერთი-ორათ ვგმობთ „ქართველ რაინდთა" მუშტი-კრივების ტრიალს, მარა ეს არ კმარა. ჩვენ გვინდა თვით ის საფუძველიც დავგმოთ, რომელზედაც ყველა ეს შენდება. ესაა შოვინიზმი, „ჩაყლაპვის" თეორია, ეროვნული სიძულვილის და მტრობის ქადაგება. აქ კი „ივერია" გ. ამირაჯიბის მეგობარია, მისი ძმა-ბიჭია, „ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან, მიიმღერიან" თავის შოვინისტურ მელოდიებს.

აი, ამ შოვინიზმის ძირის ამოგდებით შეიძლება ასეთი „სკანდალების" თავიდან აცდენა და, ყოველ შემთხვევაში, მათში, ეროვნების ჩახხერის მოშლა მაინც. ეროვნება იქ არაფერ შუაშია, სადაც ერის ხორცმეტები დაობენ და მუშტი-კრივობენ. ნამდვილათ ერის შვილები მათ მხოლოდ გმობით აძლევენ პასუხს.

* * *

რევოლიუცია სპარსეთში

დეპეშები.

(პეტ. დეპეშ. სააგენტოსაგან)

12—13 **ივლისი.**

ლონდონი. რეიტერს თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ: ინგლისის და რუსეთის მისსიებმა ოფიციალურათ შეატყობინეს სპარსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ისინი ცნობენ ახალ შახს. ორივე მისსია ცდილობს ჩქარა გაგზავნონ ყოფილი შაჰი, რომელსაც თან ეხლება ბალადურ ჯენგი.

თეირანი. ყაზვინიდან იტყობინებიან, რომ ენჯუმენმა და მთავრობამ აუარებელი ხალ. თანდასწ. იდღესას .ათ ივლ. სულთან ახმეტ-შახის ტახტზე ასვლა. დღესასწაულზე სპეციალურათ მიწვეულ იქნა რუსეთის საელჩო, რუსეთის ჯარის უფროსი და აფიცრები და რუსის მთელი ახალშენი. დღესასწაულის დროს უკრავდა რუსეთის მსროლელთა ბათალიონის ორკესტრი. სტუმრებს გაუმასპინძლდენ. საღამოზე ქალაქი გააჩირაღდნეს. მასპინძლების სურვილის თანახმათ ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო დალიეს. ელჩმა პასუხი გასცა. ორკესტრმა რუსული და სპარსული ჰიმნი დაუკრა.

(**გაზეთებიდან**).

გენ. სნარსკის ჯარი არ გაყავთ სპარსეთიდან. რადგან ოსმალეთის ინტრიგებს ბოლო აღარ მოეღო ჩრდილოეთ სპარსეთში, რაც სავსებით გერმანიის გავლენას უნდა მიეწეროს, რუსეთის დიპლომატიურმა წრეებმა ნაადრევათ სცნეს გენერალი სნარსკის ჯარის გამოყვანა. უკეთუ ოსმალეთი გაიყვანს თავის ჯარს

მურიიდან, მხოლოდ მაშინ დასთანხმდება რუსეთი გამოიყვანოს გენ. სნარსკის ჯარი.

სად უნდა დაბინაონ ყოფილი შაჰი? ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არაა სად უნდა დაბინაონ ყოფილი შაჰი; განზრახულია რუსეთის მთავრობამ თავის ხარჯით შეიყიდოს გრაფინია შუვალოვის მამული ყირიმში, სადაც შაჰს დაბინავებენ.

ახალი კაბინეთის მოთხოვნა. სპარსეთის ახალმა კაბინეთმა რუსეთის საელჩოს წარუდგინა მოთხოვნა, რომ ჩქარა გაყვანილ იქნას ყოფილი შაჰი სპარსეთის საზღვრებიდან. კაბინეთი ფიქრობს, რომ ყოფილი შაჰის მაჰომედ ალის ყოფნა თეირანში ფრთებს ასხამს ბნელ ძალებს, რომლებიც მუდამ მზათ არიან კონტრ-რევოლიუციის მოსახდენათ.

იარაღების აყრა. სპარსეთის რევოლიუციონურ არმიას იარაღს ყრიან. დაითხოვეს აგრეთვე შაჰის არმია, გარდა კაზაკთა ბარიგადისა.

ხმები კაზაკთა ბრიგადის დათხოვის შესახებ. პეტერბურგის დიპლომატიურ წრეებში ხმები გავრცელდა, რომ სპარსეთის ახალ მთავრობას აზრათ აქვს დაითხოვოს კაზაკთა ბრიგადა და რუს აფიცრების მაგიერ ინსტრუქტორებათ მოიწვიოს სხვა სახელმწიფოს აფიცრები. გერმანიის წარმომადგენლებმა თეირანში, უკვე მიმართეს სპარსეთის მთავრობას მიიწვიონ გერმანელი ინსტრუქტორები.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12—13 ივლისი.

ოსმალეთი

სტამბოლი. 10 ივლისს სულთანმა გამოაცხადა ამნისტია. სიკვდილით დასჯა სამუდამოთ დატუსაღებით შეეცვალათ. გამოვიდა ბრძანება სამართალში ნუ მისცემენ რეაქციონერებს. მთელი ქალაქი გაჩირაღდნებულია. ქუჩები ხალხით მთლათ გატენილია, წესიერება სამაგალითოა. ილდიზში ახალგაზდა ოსმალთა .კომიტეტმა ბანკეტი გამართა. მიწვეული იყო 300 კაცი. დაესწრენ უმაღლესი სამღვდელო პირნი. გარდა მსოფლიო და სომეხთა პატრიარქისა. ხილმი ფაშამ სიტყვა წარმოსთქვა და თავისუფლების პირველი სულთანის სადღეგრძელო დალია.

სალანიკი. 10 ივლისს მოხდა ჯარების ბრწყინვალე „პირადი“.

ფინანსთა მინისტრმა წარმოსთქვა დიდი პოლიტიკური სიტყვა, რომლითაც გაარკვია ეხლანდელი სამინისტროს პროგრამა და მოუწოდა პატრიოტიზმისთვის.

სტამბოლი. 10 ივლისის ბანკეტზე ხილმი ფაშამ თავის სიტყვაში მადლობა გამოუცხადა ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს ქვეყნისთვის დიდი ღვაწლის გაწევისთვის და იმედი გამოსთქვა მომავალშიაც არ დაიშურებდეთ თავიანთ შრომის სამშობლოს და ხალხის საკეთილდღეოთო.

რუსეთი

პიატიგორსკი. დაიწყო თათბირი კავკასიის მინერალურ წყლების საჭიროების შესახებ.

პენზა. ჩემბარსკის მაზრაში სეტყვამ გაანადგურა 8000 დესიატინა პური. ზარალი დიდია.

პეტერბურგი. 11 ივლისს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა და დიდი მთავარი ალექსი ნიკოლოზის ძე საფრანგეთისკენ გაემგზავრენ.

სევასტოპოლი. სამხედრო საზღვაო სასამართლომ გემ „პატიომკინზე“ აჯანყებაში მონაწილე ორ მატროსს გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა სამი და ოთხი წლით.

მარიუპოლი. 1905 წლის „პაგრომის“ საქმეზე 16 კაცს ოთხი დღით დატუსაღება მიუსაჯეს, დანარჩენი 45 გაამართლა.

სარატოვი. სეტყვამ გაანადგურა 2,455 დესიატინა პური. ზარალი 150,000 მანეთამდეა.

შადრინსკი. ცეცხლმა გაანადგურა დალმატევის ჩრდილოეთ აღმოსავლეთის ნაწილი. დაიწვა 111 სახლი, ზარალი 130,000 მანეთამდე. უსახლკაროთ დარჩა 423 კაცი.

პეტერბურგი. დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 68, მოკვდა 25, ავათ არის 775.

რეველი. ხოლერით ავათ გახდა და მოკვდა სატუსაღოს ზედამხედველის ცოლი,

რიგა. ხოლერით ავათ გახდა 4, მოკვდა 6.

არხანგელსკი. ხოლერით ავათ გახდა 9, მოკვდა ორი.

არხანგელსკი. ხოლერით ავათ გახდა 4, მოკვდა 5. მაზრაში—ავათ გახდა 6, მოკვდა 1.

პოლოცკი. ხოლერით ავათ გახდა 173, მოკვდა 42.

რიგა. ავათ გახდა—4, მოკვდა 1

ტვერი. ავათ გახდა 8, მოკვდა 3.

საზღვარ-გარეთ

პარიჟი. ბრიანმა თანხმობა განუცხადა ფალიერს შეადგინოს სამინისტრო. განზრახულია პორტფელები ასე განაწილდეს: ბრიანი—მინისტრ პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა და კულტის მინისტრათ. ლუი ბარტი—იუსტიციის. პიშონი საგარეო საქმეთა, კოშერი—ფინანსთა, დუმერგი-სახალხო განათლების, მილიერანი—საზოგადო სამუშაოთა და ფოსტა ტელეგრაფის ჟან დიუპური-ვაჭრობის; რიუსი—მიწათმოქმედების, ტრიულიო—ახალშენების, ვივიანი—შრომის. ადმირალი ბუ დე-ლა პრეიერი საზღვაო მინისტრათ, გენერალი ბრეო—სამხედრო სარრო მის ამხანაგათ, შერონი საზღვაო მინისტრის ამხანაგათ.

ბერლინ. დაიხურა საერთაშორისო სოციალისტური სიეზდი.

დამშტადი. იწვის რკინის გზის სადგური.

პარიზი. რესპუბლიკანული გაზეთები გარდა „რაპპელი“-სა სიამოვნებით ეგებიან ბრიანის კაბინეთს. პროგრესისტების ორგანოები ნდობას უცხადებენ მთავრობას: ყველა ოპოზიციური გაზეთები სიამოვნებით აღნიშნვენ, რომ პიშონი ისევ საგარეო საქმეთა მინისტრთ დარჩა.

მელილოია. 10 ივლისის ბრძოლაში ესპანელებს მოუკლეს 6 აფიცერი, დაუჭრეს 12, დაღუპული სალდათების რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის. დაუჭრეს 270 სალდათი.

ფრედერიკსტადტი. ინგლისის „შხუნა ბარკაგლადის“ი დაეჯახა მეთევზეთა ნავს, ნავზე მყოფნი, რიცხვით 9 კაცი ყველა დაიღუპა.

ლონდონი. მოხდა დიდი მანიფესტაცია მთავრობის საფინანსო ბილლის გამო. 90,000 კაცისაგან შემდგარი პროცესია გაემართა გაიდპარკისაკენ, სადაც წარმოსთქვეს პოლიტიკური სიტყვები. მანიფესტანტებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც სურვილს აცხადებენ ჩქარა განხორციელებულ იქნას სოციალური რეფორმები და წინადადებას აძლევენ მთავრობას ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველივე ცდას შემოღებულ იქნას საფინანსო ბილლი.

უკანასკნელი ფოსტა

რუსეთი

ახალი კატასტროფა მაღაროებში. კატასტროფა „იტალიანკის“ მაღაროში სწორეთ რიკოვის საშინელების წლის თავზე მოხდა. იმ გარემოების გამო, რომ დუმა არა გვაქვს, თუ იმიტომ, რომ ნერვები დაგვიჩლუნგდა და ოცამდე დახოცილი და რამდენიმე ათეული დაშავებული მეტათ უმნიშვნელოთ გვეჩვენა. „იტალიანკის“ მაღაროების კატასტროფა არავის არ აღელვებს.

მიუხედავათ ამისა, ტრადიციის მიხედვით ამ შემთხვევაშიაც იმ ადგილზე, სადაც უბედურება დატრიალდა, საჩქაროთ მოვიდა სამთო ინჟენერის ვაგნერის მეთაურობით კომისია „უბედურების მიზეზთა გამოსაკვლევათ და მომავალში მათ ასაცდენათ“.

წინასწარმეტყველება არ არის საჭირო იმისთვის, რომ ვთქვათ: იმავ ტრადიციების მიხედვით კომისია ოფიციალურ რევიზორთა თავშეკავების მიუხედავათ ბევრ საზიზღარ დაუდევრობის ფაქტებს აღმოაჩენს. დასასრულ, კომისია მთელ ფურცლებს გადაწერს იმის შესახებ ცნობებით, თუ რაა „მიუცილებლათ საჭირო“, „უეჭველათ სასურველი“ და „მეტათ საყურადღებო“...' და, როგორც ეს ხშირათ ხდება, მოხსენების ერთად ერთი შედეგი ის იქნება, რომ ის სამთო დეპარტამენტში გაიგზავნება და, ვით ნემსი თივის ზვინში, ამ შესანიშნავ დაწესებულების ზვინში ჩაიკარგება... მხოლოდ მომავალში, ახალი კატასტროფის შემდეგ ის პირნი, რომელთაც სხვაზე მაგარი მეხსიერება აქვთ, კოცოვსკისა, კულიბინისა, ფრეზესა და სხვათა ნამუშევართან ერთად ხსენებული კომისიის ნამუშევარსაც გაიხსენებენ.

ასე ყოფილა, ასე იქნება...

1907 წლის 1-ლ იანვრიდან 1908 წ. 1-ლ იანვრამდე—მაკეევის მაღაროებში 21 ჯერ მოხდა აფეთქება; ამათში—15 შემთხვევაში ოფიციალურათ დამტკიცდა, რომ დამნაშავენი სამუშაოსა და ვენტილიაციის გამგენი იყვნენ.

ასეთივე იყო რიკოვის საშინელებათა გამომკვლევი კომისიის ნამუშევარის ხვედრი: იგი სამთო დეპარტამენტის არხივში ჩაესვენა და მეტი არაფერი.

ინჟენერ ვაგნერისა და მისი კომისიის ნამუშევარი ოფიციალური მოწმობა იქნება იმისა, რომ მაკეევის მაღაროებში ყველაფერი ძველებურათაა, რომ „რიკოვის“ კომისიის მიერ ნაჩვენები საშვალებანი სრულიად არ განუხორციელებიათ, რომ მწარმოებელნი თავიანთი ვიწრო, გროშურ ინტერესებისთვის დამნაშავურათ თამაშობენ ათას მუშაკთა სიცოცხლით და დუმის ჩარევამაც ვერ ჩაბერა სული სამთო დეპარტამენტის გაქვავებულ ჩონჩხს. (რ.)

ბრძოლა სოციალიზმთან. ამ დღეებში ეფისკოპოზებს გაეგზავნებათ სინოდის უქაზი 1909—1910 სამოსწავლო წელს შეტანილ იქნას სემინარიის კურსში სოციალიზმის მხილება.

ამასთანავე გადაწყვეტილია დაარსდეს აკადემიაში ს.-დემოკრატიული მოძღვრების მხილების კათედრა.

„წესდებაში ამის შესახებ არაფერია“... მეორე კოლომნის მცხოვრებთა და ამომრჩეველთა საზოგადოებამ, როგორც გაზეთებშიც სწერდენ, მოაწყო განსაკუთრებული კომისია პროსტიტუციასა, ალკოგოლიზმსა და სიღატაკესთან საბრძოლველათ. კომისია ენერგიულათ შეუდგა საქმეს. უპირველეს ყოვლისა ის შეუდგა პროსტიტუციის საკითხის განხილვას. კომისია აიძულა ასე მოქცეულიყო რაიონის მცხოვრებთა მრავალმა განცხადებამ იმის შესახებ, რომ სამეძაო სახლებს მეტათ გამხრწნელი გავლენა აქვთ. გადაწყვეტილი იყო შუამდგომლობა აღეძრათ, რომ სამეძაო სახლები დაეკეტათ, ხოლო ფაქტიურ მხარის დასასაბუთებლათ ანკეტა მოეხდინათ. საანკეტო ფურცელი შეუმუშავდა ს.-ტ.-პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივ-დოცენტის პ. პ. ი. ლიუბლინსკის ახლო მონაწილეობით. წინადადებას იძლეოდენ შემდეგ კითხვებზე ეპასუხნათ: 1) მუშათა ნამუშევრით რამდენი ნაწილი მიდის სამეძაო სახლებში; როგორ მოქმედებენ ეს უკანასკნელნი ოჯახთა ეკონომიურ მდგომარეობაზე? 2) როგორ მოქმედებს სამეძაო სახლები ოჯახურ ცხოვრებასა და ახალი თაობის ზნეობრივ მხარეზე? 3) ხომ არაა შემჩნეული, რომ სამეძაო სახლების სიახლოვის გამო ხშირათ ხდებოდა ჩხუბი, ირღვეოდა საზოგადო წესები, ვითარდებოდა ხულიგნობა? და 4) ხომ არ იცის ხალხმა ისეთი შემთხვევა, რომ სამეძაო სახლებში რამე მოეპაროთ, დაეჭრათ და სხვა ბოროტ-მოქმედება ჩაედინოთ?

ანკეტა სრულიად არ ეხება პროსტიტუციის საერთო განვითარების მიზეზებს და მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო კითხვებით განისაზღვრება..,

მიუხედავათ ამისა გრადონაჩალნიკის კანცელარიამ საჭიროთ დაინახა მე-2 კოლომანის საზოგადოებისთვის შეეტყობინებინა, რომ ასეთი ანკეტის მოხდენაზე საზოგადოების წესდებაში არაფერია ნათქვამი.

ქერჩის ადმინისტრაცია. მეტათ საინტერესო და მასთან გულის ამრევი საშინელებებით სავსე მოხსენება წარუდგინა ქერჩის ყოფილმა პოლიცმეისტერმა გრინევმა შინაგან საქმეთა მინისტრს,

რამდენიმე წლის წინეთ გრინევი ქერჩის პოლიცმეისტრის თანამდებობის ასრულებას შეუდგა. მაგრამ იგი საჩქაროთ მოიშორა იმ შავმა კომპანიამ, რომლის სულის ჩამდგმელი ადმირალი სტემბონია. გრინევი დაწვრილებით აწერს, თუ როგორ მოქმედებდენ მის წინააღმდეგ ის ბნელი პირნი, რომლებიც ადმირალ სტემბონს ზურგს უკან ბედ-იღბალს სწყვეტდენ. თვითონ ადმირალი სტემბონი, გრინევის სიტყვით, რუსეთ-იაპონიის ომში იღებდა მონაწილეობას „ბოგატირის“

* * *

ბულბულის სტვენა ყურს მიტკბობს
სატრფოზე მომღერალისა,
წინ გადაშლილა სურათი
წარმტაცი ორივ თვალისა!
მდინარე მიიკლაკნება
მარდი და თავაზიანი,
იქვე მუხა სჩანს ბებერი,
წვერ-შეღებილი მზიანი,
შორით მიდამო, ტაძარი,
მთები ციცაბო-კლდიანი.
შრომის შვილები ყანაზე
სიმინდს სთოხნიან თოხითა,
წინ მიიწევენ მწყობრადა
ჩუმი ღიღინით, ოხვრითა.
გულ-მკერდს უკოცნით მზის სხივი
გადარეცხილებს ოფლითა.—

*

ააყენევი
ეს დავარდნილი,
იქნებ ივარგებს—
ის გამარგლული?
ფოლადს ერიდე,
სიმინდს ნუ კაწრავ,
უხმოდ გახმება,
უშნოთ ნუ დაკრავ.
ცხელა. ნიავი
ხრსით ირხევა,
ცაზე ღრუბლები
თითქოს იბნევა.—
წვიმა იქნება
და ნიაღვარი.—
დაჰკარ—დაჰკარი.

*

როგორც დღეს, ხვალა
აქ მოვალთ ყველა.
მერე მოვიხმართ,
მერე მოვიწევთ,
ან იქნებ მანამ
საფლავს ჩავიდეთ.
დეე—ხვედრია: კუბო მზათ არი.
დაჰკარ-—დაჰკარი!

*

სხვისა ნაშრომის,
მონაწევრისა
მუდამ შემყურე
იმ ჩვენი მტრისა
ნურას ვიწამებთ,
ნურას ვიამებთ.
ვაპოხიეროთ
მიწა ოფლითა,
ვანოყიეროთ
ჩვენი შრომითა!
შემოგვყურებდეს
მღვდელი—ჩაფარი...
დაჰკარ—დაჰკარი.

*

ეჰ, დავისვენოთ... სიო ჰქრის,
გულს მიტკბობს, გულს ეამება,
წყალი მოიტათ დოქითა...
სანამდი დაგვიღამდება
ეს გავათაოთ თანხმობით,
თორემა გაგვიავდრდება!
ხედავთ იმ გზაზე ვაჭარსა?
სულ მოიარდა სოფელსა
და ულვთოთ, დაურიდებლათ
დაატყუებდა გლეხებსა!
ასეა თუ ჩაუვარდი
ქალაქის ჩარჩებს—მელებსა!—

*

დაჰკარით თოხი..,—
გიორგის შვილი,
სალდათობიდან
დაბრუნებული,
გუშინ მომკვდარა...—
სქლათ ნუ დატოვებ
სიმინდს... აქ კმარა...—
საბრალო! რადა?
რად მიდიოდა
ან რად დაბრუნდა
უკან ცოცხალი!
ნუ თუ იმიტომ—
მამა ენახა
და დაეხუჭა
ორივე თვალი.—
ყალიონს მოვსწევ,
მომეც აბედი.—
მოკვდა—ესაა
ჩვენი ძმის ხვედრი!..—
აბა, გაშალეთ,
ფართოთ უარეთ,
სიმნდს ერიდეთ,
სიმინდს უარეთ...—
ჩვენცა მოვკვდებით,—
აი ტაძარი...
დაჰკარ—დაჰკარი,
თოხი დაჰკარი!

*

შვილნო სპეტაკი შრომისა,
გმირნო უდრეკი ომისა!
თქვენ მეფენი ხართ უტახტოთ,
მბრძანებლობთ ქვეყნის ბრუნვასა,
თქვენვე განაგებთ და იტანთ
ქვეყნის ჭირსა და ურვასა!
ლომნი ხართ დაძინებულნი,
ძილში ბოჭილნი ჯაჭვებით,
მსხვერპლნი გარსშემოსეულნი
ურიცხვ იდუმალ ძალებით.
რათ არ გაახელთ თვალებსა?
რათ არ დაამსხვრევთ ჯაჭვებსა?
რას ფიქრობთ? ვინ წაიკითხავს
რა დაგჩნევიათ სახესა,
დროთა ბრუნვაში შედგენილს
თქვენს ფიქრებს, უცნობ ზრახვებსა!
ველარ მივწვდები—ეს რჩება
ჩემდა გარდუვალ დარდათა.—
როს ვნახავთ თქვენსა ფიქრებსა
ხორც-შესხმულთ, ჩვენდა ცხადათა!
მოგესალმებით! უჩინრათ
თანაგდევთ ჩემი აზრები.
ვხედავ-ოფლი გდით შრომისგან,
დაგღონებიან თვალები!
მოგესალმებით! კუბომდე,
ვიდრე ლონე სწევს ენასა,
თქვენ გიმღერთ, ქვეყნის მაშვრალნო!
კურთხეულს თქვენსა მარჯვენასა·

*

ბულბულის სტვენას ყურს ვუგდებ
სატრფოზე მომღერალისას,
სურათს გავყურებ, გადაშლილს,
წარმტაცსა ორივ თვალისას.

იასამანი

ობოლი ბავშვები.

კვირა დღე იყო. სავაჭროები დაკეტილი იყო, მაგრამ ხალხი მაინც ბლომათ ირეოდა ქუჩებში. ხალხთან ერთათ „წესიერების დამცველებიც“ იყვნენ.

№-ის ციხის აღმართის დასაწყისს, ზაფხულის მწვავე მზე, დიდი ხანია, რაც გაშორდა და ტუსაღებმა დაუწყეს თვალიერება სარკმლებიდან გამვლელ-გამომვლელთ, რომ დამტკბარიყვნენ ნაცნობ ნათესავთა ხილვით.

— შენი გულისა რა ლამაზია!... წამოიძახა ერთმა ახალგაზრდა ტუსაღმა ერთ გამვლელ ქალზე და დაიწყო ულვაშების გრეხა.

— დიდი არაფერი ბედაურია, ე ლამაზი ტანისამოსი რომ არ ეცვას, სანაგვეზე გადასაგდები იქნებოდა. შენიშნა მეორე ამხანაგმა.

— დიდი არაფერია... ხელს ჰკრავ და გააგდებ!..

— გაგდებით კი არ გავაგდებ, მაგრამ საქმე არეჩვაზე რომ მიდგეს, მაშინ გაჩვენებ, როგორი არჩევა ვიცი.

— ბიჭებო, ე გუშინდელივით ჩხუბი არ მოგივიდეთ. შენიშნა მათზე უფრო ხნიერმა ტუსაღმა, რომელიც ის იყო მიუახლოვდა ფანჯარას.

ამ გვარი და სხვადასხვა ლაპარაკით და ოხუნჯობით ატარებდენ ტუსაღნი თავიანთ დროს, რომ შემსუბუქებინათ დარდი, ნაღველი, თუმცა ტუსაღთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომელთაც ვერავითარი ოხუნჯობა ვერ ამხიარულებდა. ასეთი იყო უკანასკნელი ტუსაღი.

ციხის ძირს მორიგი ჯარის კაცი [illegible] მიფრატუნებდა თავის ვეება ჩექმებს და ათვალიერებდა ფანჯრებს, ხანდისხან შესძახებდა ხოლმე—„Слушай-ს“ და კმაყოფილდებოდა ტუსაღთა მორჩილებით.

ციხის პირდაპირ დალაქის დუქნის წყნარის ნაბიჯით მიუახლოვდა ორი ბავშვი და კარების ბაქანზე ჩამოსხდენ. ერთი იქნებოდა ასე, თერთმეტის ან თორმეტის წლის, მეორე ცხრის ან ათის. უფროსს ტანზე ეცვა ჩითის პერანგი, რომელსაც ეტყობოდა მეტათ ძველი ხნის გაურეცხავი ყოფილიყო. პერანგზე ეცვა „ტუჟურკა“, რომლის ზომა დიდი და სიფართოვე მეტყველებდა, რომ მის პატრონისთვის ვილაც კაცთმოყვარეს ეჩუქებინა, რადგან ბავშვის მხრებზე უშნოთ იყო გადაწოლილი და ამასთან სიგრძე ჩახდული.

ბავშვის ქვედა ნაწილს ფარავდა ისეთივე [illegible], იქამდის შეუფერებელი, რომ ერთ ტოტში ბავშვი სულ ეტეოდა.

უმცროსს ტანზე ეცვა ცოტა უკეთ, ხოლო მასაც [illegible]. ფეხზე ორთავეს [illegible] ჩუსტები ეცვათ და იქამდის [illegible]

კამანდრის თანამდებობაში. შემდეგ იგი ქერჩის გრადონაჩალნიკათ დაინიშნეს.

გრინევი ასე ასწერს ქერჩის პოლიციას და მის მოღვაწეობას.

პოლიციის თითქმის ყველა წევრნი ერთმანეთის ნათესავნი არიან. მათთვის თავი მოუყრია მეორე ნაწილის ბოქაულს პაშურას.

როგორც შეკრებილი ცნობებიდან აღმოჩნდა ბოქაული პაშურა არაა ღირსი, რომ მას რაიმე თანამდებობა ეჭიროს. თავისი მოღვაწეობა მან დაიწყო 1902 წელს ქ. სევასტოპოლში საკლასო თანამდებობის კანდიდატობიდან. თვიურათ იღებდა 50 მანეთს და პოლიცმეისტრის ყურადღებაც ჰქონდა დამსახურებული. ფულების დატყუებისა, მექრთამეობისა და სხვა ბოროტ-მოქმედებათა გამო პროკურორის განკარგულებით იგი გაჩხრიკეს და სახლში უპოვნეს 15,000 მანეთი ფულათ, ოქროსა და ვერცხლის ნივთებით, ბრილიანტები და სხვ. 1906 წლის 21 ოქტომბერს პაშურა შეეცადა დამალვას, მაგრამ ხომალდზე ხალხმა დააპატიმრა. ხომალდის კამანდმა უარი განაცხადა მუშაობაზე, სანამ პაშურა არ ჩამოვიდოდა ხომალდიდან.

უწესოება ხომალდზე შეწყდა, რადგან პაშურა ჩამოიყვანეს და ხანგრძლივი დაპატიმრება მიუსაჯეს. შემდეგ არეულობით ისარგებლა და ხარბინში რესტორანი გაალო და ქალებით ვაჭრობდა. მაგრამ აქ ვერაფერი მოიგო და საჩქაროთ ადესაში ამოჰყო თავი, სადაც ცდილობდა რაიმე თვიურათ 20—25 მანეთიანი ადგილი ეპოვნა, მაგრამ მისი სახელი ადესაშიაც იყო განთქმული და უარი უთხრეს. 1907 წელს იგი ქერჩში მოვიდა და ბოქაულის თანაშემწეობა მიიღო, მაგრამ საჩქაროთ ბოქაულის ღვინებით თევზის წარმოებაში გადაიყვანეს სოფელში, სადაც მას განსაკუთრებული ვნება არ შეეძლო მოეტანა. ქერჩიდან ნოვოროსიისკში გადაიყვანეს ბოქაულათ, სადაც რამდენიმე თვის განმავლობაში ისეთი საქმეები ჩაიდინა, რომ მთელი შტატით 24 საათში იქნა გამორიცხული სამსახურიდან. პაშურამ გადასახადი დაადო ინგლისის კონსულს, ანარხისტებს მფარველობდა და სხვა ისეთი საქმეები ჩაიდინა, რომ მთავრობამ იგი „სკანდალის“ ასაცილებლათ სამართალშიაც ვერ მისცა. ამის შემდეგ იგი ხელახლა დაბრუნდა ქერჩში და ადგილის თხოვნა დაიწყო. ბოლოს პოლიცმეისტერ იანოვსკის წყალობით პაშუკას ჯერ ბოქაულის თანაშემწის ადგილი მისცეს, ხოლო შემდეგ მეორე საპოლიციო ნაწილის ბოქაულობა. ბ. გრინევმა პაშურა შემდეგ სამსახურიდან დაითხოვა, რადგან იგი უსწავლელიც იყო. პოშურას დროსვე ბოქაულის თანაშემწეთ დაინიშნა გლეხი კორ.უკალოვი. მისგან არავითარი ცნობა არ მოუთხოვიათ გარდა პასპორტისა.

მასალები „მაძებარ პოლიციის“ შესახებ. შრომის ჯგუფის ფრაქციას აუარებელი მასალები შეუკრებია რუსეთის „მაძებარ პოლიციის“ შესახებ. ამ მასალების შეკითხვისთვის გამოიყენებენ, რომელსაც დუმას წარუდგენენ.

გარტინგი პეტერბურგში. ხმები გავრცელდა, რომ გარტინგი პეტერბურგში მივიდა და კურლოვს წარუდგაო. ის ჩქარა ამერიკისკენ მიემგზავრებაო.

ბერების სიეზდზე პრესის წარმომადგენლებს არ უშვებენ. ბერების სრულიად რუსეთის სიეზდზე სინოდის გადაწყვეტილებით არც პრესის წარმომადგენლებს და არც სხვა გარეშე პირთ არ უშვებენ.

შიმშილისაგან დაღუპული. პსკოვის ახლო ჩქარ მატარებლის ქვეშ ჩავარდნილა ვიღაც ქალი თავისი შვიდი წლის შვილით. ქალი შუაზე გადაუჭრია მატარებელს, ბავშვი რაღაც სასწაულით გადარჩენილა. ის იშვილა არტისტმა შალიაპინმა, რომელიც ამ მატარებლით მიდიოდა. როგორც ბავშვმა განაცხადა, თავის მოკვლის განზრახვა გამოუწვევია სამი დღის შიმშილობას.

საზღვარ-გარეთ.

ბანკის გაძარცვა. ლონდონის გაზეთებს ატყობინებენ, რომ რუსის ოთხმა ემიგრანტმა დღისით გაძარცვა ჩიკკის ნემეც-ამერიკის ბანკის განყოფილებაო. ორი მათგანი დაიჭირესო.

ბიულოვი და ჰაუპტმანი. ბერლინის გაზეთების სიტყვით ჰაუპტმანმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა თავ. ბიულოვს: „მე აშკარათ ვგრძნობ, თუ რა მწუხარებას განიცდის გერმანიის ხალხი თქვენი სამსახურიდან გადადგომის გამო. ნება მომეცით, თქვენო ბრწყინვალებავ, ჩემი სიმწუხარე შევუერთო იმათ, რომლებიც გრძნობენ ამ მომენტის მწარე სიდიადეს. თქვენი ერთგული და ღრმათ პატივისმცემელი გერჰაბედტ ჰაუპტმანი.

ბიულოვმა უპასუხა:

„გმადლობთ დეპეშისთვის. ის მოწმობს, რომ თქვენ ნამდვილი ნემეცი ხართ და ჩემი პატივისცემა და მეგობრობა გაქვთ. თქვენი ერთგული თავადი ბიულოვი“.

ახალი ამბები

პოლიციელის მოკვლა. კვირას, თორმეტ ივლისს, არარატის ქუჩაზე ვიღაც უცნობებმა 5-ჯერ რევოლვერი ესროლეს პოლიციელს კონდრატი ბერესტოვოის. ბერესტოვოი სასიკვდილოთ დაიჭრა. უცნობები ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ მიიმალენ. იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოხდა პოლიციამ ალყა შემოარტყა. დააპატიმრეს 41 კაცი. ამათში ვინმე აკოფ ზახაროვს პოლიცია აბრალებს, თითქოს ის წინეთ უთვალთვალებდა ბერესტოვოის. ბერესტოვოის მოკვლა პირად ნიადაგზე უნდა მომხდარიყოს. მან წინეთ ერთი ბოროტმოქმედი დააპატიმრა.

◆ **რამდენიმე კაცის დაპატიმრება.** 12 ივლისს ქართველ თავად-აზნაურთა შენობის ეზოში, სასახლის ქუჩაზე პოლიციამ დააპატიმრა ქ. თფილისის მცხოვრები ნიკოლოზ ლოლაძე, რომელიც პოლიციის ცნობით, თფილისში სპარსეთის ქვეშევრდომის არმენაკ ოგანიანცის სახელით სცხოვრობდა. პოლიცია ოგანიანცს აბრალებს 1908 წელს 29 ოქტომბერს კონსტანტინე მირაკოვის მოტაცებას. იგი არხანგელის გუბერნიაში გადაუსახლებიათ, მაგრამ იქიდან პოლიციის ცნობით სპარსეთში სათარ-ხანის რაზმში მიუღია მონაწილეობა. ლოლაძესთან ერთად დააპატიმრეს კონსტანტინე ყორანაშვილი.

პირველ საპოლიციო ნაწილში დააპატიმრეს აგრეთვე ვინმე პეისახ რეიკელსი. მას აბრალებენ 1906 წელს ბაქოში ხეჰავილის მოკვლას. ბაქოდან გამოქცეული იგი თფილისში ტატაროვიჩის პასპორტით ცხოვრობდა თურმე. დაპატიმრებულ რეიკელსს ამ დღეებში ეტაპით ბაქოში გაგზავნიან.

◆ **აკაკის წასვლა.** კვირას, 12 ივლისს პარიზს წავიდა ჩვენი პოეტი აკაკი.

◆ **საგუბერნიო ციხეში.** ციხის უფროსის თანაშემწის ბ-ნ კრიჟანოვსკის ხელმძღვანელობით აქ ტუსაღებმა გამართეს სახელოსნო, სადაც შეიძლება სხვადასხვა ტანისამოსისა, ფეხსაცმლებისა, მაგიდებისა და სხვ. შეკვეთა. ტუსაღები აკეთებენ იაფათ და მასთან ციხის ადმინისტრაცია პასუხს აგებს სამუშაოს კარგათ ასრულებისათვის და მასალების სიავკარგისთვის. სახელოსნოები წინეთაც იყო ციხეში, მაგრამ მათ შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. შემოსავლიდან ციხეში დაპატიმრება მისჯილებს რჩებათ მან. 30 კ., კატორღელებს—10 კაპ., გამასწორებელ რაზმელებს 30 კაპ., ციხე მისჯილებს—სრულ მანეთი.

კომისიაში ამორჩეულნი. სასოფლო—სამეურნეო საზოგადოების კრებაზე 16 ივლისს ერობის შესახებ მასალების შესაკრებათ ამორჩეულ კომისიაში შემდეგი პირნი მოყვენ: ა. ქალანთარი, საკოვი, გ. დიასამიძე, ა. ყიფშიძე, ვ. რცხილაძე, ხუნუნცი, დემიდოვი, სოკოლოვი, ტიმოფეევი, თავ. აფხაზი, გ. თუმანოვი, დანდუროვი და მიუზალოვი.

◆ **ყოფილი დეპუტატები.** მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილ დეპუტატების შესახებ, რომელნიც გაგზავნილნი არიან ირკუტსკის გუბერნიის ბალახანის, კირენსკის და სხ. მხარეებში „ნოვ. ვრემ.“-ს შემდეგი გაუგია: დეპუტატები თურმე დიდ გაჭირვებას განიცდიან. მათთვის ნება არ დაურთავთ პური მოეყვანათ ან რაიმე ხელობით ერჩინათ თავი. დეპ. ლოპოტკინს განუზრახავს საზეინკლოს გახსნა, მარა ადმინისტრაციას ამისი ნება არ დაურთავს. ხაზინიდან უმეტესი მათგანი არავითარ დახმარებას თურმე არ იღებენ. დეპუტატები ღებულობენ დახმარებას კერძო პირთაგან და ორგანიზაციებიდან. მაზრის ისპრავნიკის ნება-დაურთველათ 10—15 ვერსის მანძილზე მახლობელ სოფელში გადასვლისთვის დამნაშავენი დაისჯებიან სამი თვე ციხეში ჯდომით.

◆ **ჩხრეკა.** ქალაქში ისევ გაძლიერებული ჩხრეკაა. 11 ივლისს პოლიციამ და პატრულებმა ალყა შემოარტყეს მე-4 საპოლიციო ნაწილში ამალლების ქუჩას და 14 კაცი დააპატიმრეს. მე-6 საპოლიციო ნაწილში ალყა შემოარტყეს ვორონცოვისა და აბანოს ქუჩებს. დააპატიმრეს 7 კაცი

◆ **სხვა და სხვა ამბები.** 12 ივლისს საღამოს 7 საათზე სიღნაღის მცხოვრები მოსე ქებაშვილი მოწამლა იმისმა ცოლმა. პოლიციელებმა ქებაშვილის ცოლი დააპატიმრეს.

— 11 ივლისს ბურდიუჩნი შესახვევში ვიღაც უცნობნი თავს დაესხნენ სტეფანე კარაპეტოვს. წაართვეს 37 მანეთი. ერთი თავდამსხმელთაგანი პოლიციამ დააპატიმრა და კარაპეტოვმაც იცნო. იგი აღმოჩნდა სიღნაღის მცხოვრები დავით ყურაშვილი.

— 12 ივლისს, საღამოს 5 ნახ. საათზე ვანქის ეკკლესიის მახლობლათ მტკვარში დაიხრჩო მარტიროს ვართანოვი.—იმავე დღეს ფოთის ქუჩაზე ჩხუბი მოუვიდათ გლეხს, პოოსს, მეწაღე პაალს და მეეზოვე ბაუერს. მოწინააღმდეგეებმა დანით დასჩრეს ბაუერი, რომელიც მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს. დამნაშავენი დააპატიმრეს.

— პოლიციამ დააპატიმრა ალექსანდრე ბაადაევი, რომელმაც ელისაბედის ქუჩაზე დიმიტრი საბალჩივს საათი მოპარა.

— 12 ივლისს მიხეილის ქუჩაზე ელექტრონის ვაგონს № 32-ს ქვეშ მოჰყვა უცნობი, რომელიც მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს. იგი ახლა კარგად გრძნობს თავს, მაგრამ ვინაობას არ ამხელს.

— **ახალი წიგნაკი.** რედაქციამ მიიღო ამხ. „სორაპანის“ მიერ გამოცემული გ. ერისთავის 4 მოქ. კომედია „გაყრა“. წიგნაკში ჩართულია გ. ერისთავის ბიოგრაფია სურათით და ღირს 5 კ. წიგნაკი სუფთა გამოცემაა. როგორც გადმოგვცეს, ამხ. „სორაპანს“ განზრახვა ჰქონია ასე პატარა წიგნაკებათ გამოსცეს ჩვენი მწერლების ნაწერების მთელი სერია, რომელსაც საერთო სათაური ექმნება „სახალხო ბიბლიოთეკა“. „გაყრა“ ხსენებული სერიის პირველი წიგნაკია.

პროვინციის ქრონიკა

ქუთაისი. ქვა-ფენილების გაკეთება. ქუთ. ქალაქის გამგეობა აცნობებს თფილისის, ალექსანდრეს, ვორონცოვის, გიმნაზიის, მიხეილის, გაგარინის, ქარვასლის, ბაზრის, აფთიაქის, ლევაშოვის, ივანოვის, პოლიციის, ვენერლის, „პოდიეზდის“, ოლდენბურგის, ორპირის, „პოდგორნისა“ და ჰავჭავაძის ქუჩების მცხოვრებლებს, რომ დაუყონებლივ შეუდგენ თავის მამულის წინ ქვაფენილების გაკეთებას, ან კაპიტალურად შეკეთებას. ვინც ამ განცხადების „ქუთ. გუბერ. ვედ.“-ში დაბეჭდვიდან 2 კვირის განმავლობაში არ შეასრულებს ქალ. გამგეობა იძულებული გახდება მიმართოს იძულებით საშუალებას და შეუდგეს მისი მამულის წინ ქვაფენილის გაკეთებას ან კაპიტალურ შეკეთებას მამულის პატრონის ხარჯით.

— სასამართლო. ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე 2000 მან. გატაცების შესახებ. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიცემული იყვნენ: ონისიფორ ქ. ხურცია, ვასილ ს. მგალობელი, არტემ მ. ხურცია, ლადიმერ ბ. გაბუნია და ბათლომე ან. სალაყაია. მათ ბრალი ედებოდათ, რომ დილით 4 ივლისს 1908 წ., ურთიერთ შორის შეთანხმებით და დახმარებით, თავს დაესხენ დაბა ახალსენაკიდან სოფ. ჩხოროცკუში მიმავალ ისლამ კვირკველიას, სცემეს, დაემუქრენ მოგკლავთო და 2000 მან. და 50 კაპ. მოსტაცეს. ეს ფული კვირკველიას ფოთიდან მიჰქონდა და უნდა დაერიგებინა პარკით მოვაჭრეთათვის სოფელში. ამ საქმის გამო ბევრი მოწმეები იყვნენ დაბარებული ქუთაისში.

სასამართლომ უდანაშაულოთ იცნო ყველა ბრალდებულნი და გაამართლა. ბრალდებულთ იცავდენ ან. გელაზაროვი, ფალავა და ჩიკვაიძე.

— გუბერნატორის განკარგულება. ამ დღეებში ქ. გუბერნატორმა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შემდეგი წინადადება მისცა: სამხედრო წესების მოხსნის გამო ის სამხედრო ძალები, რომელნიც ჭიათურაში იდგნენ და ფოსტასაც იცავდენ, დღეიდან ჭიათურიდან გაყვანილ იქნებიან. ამიტომ მე განკარგულება მოვახდინე, რომ შორაპნის მაზრის უფროსს საერობო დარაჯები დაენიშნა ფოსტის დასაცავად. მაზრის უფროსმა ეს შეუძლებლათ სცნო, ვინაიდან საერობო დარაჯთა რიცხვი ჭიათურაში მცირეა და თავიანთ პირდაპირ მოვალეობის შესრულებასაც ვერ აუდიანო. ფოსტის დასაცავათ კი 10 შტატ გარეშე საერობო დარაჯი იქნება საჭირო. ვინაიდან საფოსტო განყოფილებით უმთავრესათ შავი ქვის მრეწველები სარგებლობენ, დარაჯების შესანახი ხარჯებიც მათ უნდა იკისრონ. წინააღმდეგ შემთხვევაში თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს ვაცნობებ, რომ ჭიათურის საფოსტო განყოფილებაში ფულების მისაღებ-გასაგზავნი დღეები შემცირებულ იქნეს.

კორესპონდენციები

ფოთი. ქალაქის საბჭოს 7 ივლისის სხდომაზე გამოცხადდა 23 ხმოსანი. სხდომა გაიხსნა ქალაქის თავის ნ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით. წაკითხულ და მიღებულ იქნა წარსული სხდომის ოქმი, რის შემდეგ გამგეობამ მოახსენა სხდომას გუბერნატორის წინადადება, რომლითაც ის მოითხოვდა ქალაქის საყასბოში ხელმძღვანელათ მოწვეულ უნდა იქნას ვეითალი ექიმი, რადგან ფერშალს, რომელიც დღეს განაგებს ამ საქმეს, არა აქვს კანონით ამის უფლებაო. სხდომამ ამ კითხვაზე მოიწონა გამგეობის გადაწყვეტილება, რომლითაც 1910 წლის პირველ იანვრამდე მოწვეული იქნება ვეითალი სმირნოვი, რომელსაც ჯერ-ჯერობით დაენიშნება მხოლოდ სამგზავრო, თვიური 30 მ. მოხსენდა საბჭოს ხელმწიფე იმპერატორის მიერ უმაღლესათ დადასტურება გრ. ვორონცოვ-დაშკოვისთვის ფოთის საპატიო მოქალაქის სახელწოდების შესახებ. ხარჯებში იქნა შეტანილი 800 მანეთამდე, რომელიც ქალაქს დაეხარჯა გრ. დაშკოვის გამასპინძლებაზე. გუბერნატორის წინადადებაზე 10 შტატს გარეშე სტრაჟნიკი იყოლიოს ქალაქმა, თორემ შემოღებულ იქნება მეეზოვეთა ინსტიტუტიო, საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს გუბერნატორთან ჯერ-ჯერობით აკმარონ ქალაქს 5 „სტრაჟნიკი“ სანამ სხვა სახსარს გამოძებნიდენ. მოხსენებულ იქნა გუბერნატორის წინადადება, სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს მიერ დადასტურებულ ერთ-ნახევარ კაპ გადასახადის შესახებ- როგორც გამოირკვა, საბჭომ უნდა აირჩიოს კომისია ტარიფის პროექტის გამოსამუშავებლათ. ეს კომისია მოიწვევს ვაჭრობა-მრეწველობის ყველა წარმომადგენლებს და გამოიანგარიშებენ, თუ რომელ საქონელზე შეიძლება ნახევარი კაპეიკის დადება, რომელი დროებით (რომ ხელი არ შეეშალოს იმ დარგს ვაჭრობისას) გაანთავისუფლონ და სხვ. საბჭომ ამ მიზნით აირჩია 10 ხმოსნისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც შემდეგ სხდომას უნდა გაუკეთოს მოხსენება, რომელიც საბჭოს მოწონების შემდეგ გაიგზავნება დასამტკიცებლათ ქუთაისში, თფილისში და პეტერბურგში, სადაც სამინისტროებმა (შინაგან, ვაჭრობა-მრეწველობის და გზების) უნდა გაუკეთონ საბოლოო სანქცია. საბჭომ შეიწყნარა ნახუტურის სამრევლო სკოლის გამგის შუამდგომლობა დაეთმოს სკოლას ქალაქის მიწა უფასოთ.

ამ სხდომაზე საყურადღებო იყო სხვადასხვა პირთა საჩივარი ქალაქის შემფასებელ კომისიაზე. ამ კითხვამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. კომისიის უკანონო

მტვერიანებული, რომ მის სიავ-კარგეს პატრონის მეტი ვერავინ შეატყობდა; ეტყობოდა, ბავშვებს მთელი დღე ევლოთ. ბავშვებმა ორთავემ კალთით პირის ოფლი და მტვერი მოიწმინდეს, რის შემდეგაც მათი გამოცნობა უფრო გაადვილდა. დიდი იყო შავგვრემანი და ლამაზად უხდებოდა შავი თვალ-წარბი, ხოლო პატარა—ქერა და ჭრელ-თვალა. უფროსმა ოფლის მოწმენდის შემდეგ გადიძრო „ტუჟურკა“, მოიხადა ქუდი, საჩხულიდან გამოაძრო ნემსი ძაფი და მიუბრუნდა ძმას.

სიკო, სანამ მე პიჯაკს დავაკერებ, შენ მაღლა უცქირე, იქნებ მამამ გადმოიხედოს. ბავშვი შეუდგა კერვას. ჯერ ბავშვს არც კი დაემთავრებინა საკერავი, რომ სიკომ შესძახა:

— პეტრე, აგერ მამა!

პეტრემ მაღლა აიხედა და წკრიალა ბავშვურის ხმით შესძახა:

— მამა, როგორა ხარ?

კითხვას პასუხათ მოყვა:

— კარგათ! თქვენ როგორა ხართ შვილებო?

მამის შეკითხვა სევდა-ნაღველით იყო სავსე, მას თვალებზე გადმოუგორდენ მწარე ცრემლები, მაგრამ, რომ ამხანაგებს არ შეენიშნათ, სწრაფათ მოიწმინდა და მიადო ყური სარკმლის რკინებს, რომ შვილის სიტყვები უნაკლულოთ გაეგო.

— კარგათა ვართ! გაისმა ჰაერშ.ი პატარას ხმა.—არ იდარდო!

— ბინა სად გაქვთ?

— ხან კრწანისში, ხან ორთაჭალას,—იყო პასუხათ... მამას უფრო აუჩუყდა გული, ქვეყანა ჯოჯოხეთათ წარმოუდგა, ხალხი მტანჯველ ეშმაკებათ... იგი მამა იყო... მას გაახსენდა, რომ მამის მოვალეობაა შვილზე ზრუნვა და გადმოსძახა:

— ყოჩაღათ იყავით!.. იქნებ მალე გამიშვან... როგორც იყოს გასძელით... თავს გაუფრთხილდით, არავის წაეკიდოთ.. თუ მოახერხოთ, როგორმე სოფელში წადით მამიდასთან!..

— მანამ შენ არ გამოხვალ, ჩვენ არსად არ წავალთ!..

ამ დროს ერთმა კეკლუცათ მორთულმა მანდილოსანმა ჩამოიარა; პატარამ, რომელიც ხარბათ ათვალიერებდა მამას ციხის ფანჯარაში, ვერ შენიშნა მანდილოსანი და თავის უნებურათ შეეხო მის მოშრიალე სამოსელს, რომელსაც ბავშვის მოსვრილ სამოსლისაგან მტვერი გადაედო.

— საძაგლებო!.. მაწანწალებო... ქუჩაშიაც არ ასვენებთ ადამიანს!.. დასწყევლათ ღმერთმა!.. წაიბურდღულა მორთულმა და ცხვირსახოცით შეუდგა მტვერის წმენდას...

— რა დაგიშავე?.. წაიდუდუნა ბავშვმა და მიეკრა კედელს, რომ არავისთვის არ შეეშალა სიარული. ბავშვის შორი-ახლო, ახალგაზდა კაცი, ციხის მეორე ნაწილში ტუსაღს გამოელაპარაკა და, რომ მორიგ ტუსაღს არ შეენიშნა, მან პირი მოიბრუნა ბავშვისაკენ და ისევ დაიწყო ლაპარაკი. დარაჯმა ტუსაღს თოფი მიუმარჯვა, ტუსაღი ფანჯარას მოშორდა, ხოლო ახალგაზდა კაცი შეეკითხა ბავშვებს, დარაჯის ეჭვების გასაფანტავათ.

— ძმანი ხართ?

— დიახ! ძმები ვართ, მიუგო უფროსმა ბავშვმა.

— აქ რას აკეთებთ?

— მამის სანახავათ მოვედით, დაჭერილია.

— დედა გყავთ?

— არა.. ეხლა-ხან მოკვდა...

საბრალო ბავშვები... ამოიოხრა ახალგაზდამ, ჩაიყო ჯიბეში ხელი და გაუწოდა ბავშვს თეთრი ფული. ბავშვმა დარცხვენით გამოართო და მადლობის ნიშნათ თავისი ცოცხალი თვალები მიანათა.

— რა საქმეზე ხართ? რას აკეთებთ? განაგრძო ახალგაზდამ.

— ალაფელს!.. მკვირცხლათ მიუგო უმცროსმა და ძმისაგან მიღებულ თეთრლითონს დაუწყო სინჯვა; გახარებული ბავშვი მიუბრუნდა ძმას.

— პეტრე წავიდეთ პური ვიყიდოთ, ფული ხომ გვაქვს...

— მოიცა, მამა რაღაცას ამბობს.

— პეტრე, ეცადეთ როგორმე სოფელში წახვიდეთ! სოფელში, მამიდასთან... მოისმა კვალად ტუსაღის ნაღვლიანი ხმა...

ტუსაღის ძახილი დარაჯმა გაიგონა და მიიხედა უკან, ბავშვებისაკენ.

— Вы, что тамъ собрались?? მიაძახა დარაჯმა და თოფის კონდახ მოღერებული გაქანდა ბავშვებისაკენ. ბავშვებმა ინსტიქტურათ შეკივლეს და გადახტნენ მახლობელ კიბეზე, რომელიც ჩადიოდა იქვე მეორე ქუჩაზე...

ახალგაზდამ ვერ მოასწრო და თოფის კონდახი მოხვდა ზურგში, იგი წაბორგონავდა, მისმახუჭუჭმა თმებმა ვეღარ შეიკავეს ქუდი და ის მტვერში გადაუვარდა...

ერთ წუთს ქუჩაში ყველაფერი დაწყნარდა, ტუსაღებმა ფანჯრებში ღრმათ ამოიოხრეს, მიაწყდ-მოაწყდენ სარკმლის რკინებს, მაგრამ მათმა სუსტმა ღონემ რკინებს ვერა დააკლო რა და გაბრაზ-მორეულებმა დარაჯს ათას ნაირი უწმაწური სიტყვები უძღვნეს. დარაჯი კი განაგრძობდა წინ და უკან სიარულს.

დ. ნინოწმინდელი.

მოქმედებაზე უთითებდენ მცხოვრებლები და ამბობდენ ზედმეტი შეგვაწერეს გადასახადებიო.

ხმოსან სოლომონ ქოქუას შეაქვს წინადადება, აირჩეს კომისია, რომელიც განიხილავს დამფასებელი კომისიის მოქმედებას. სხვა ხმოსნები კრინტს არ სძრავენ და იცავენ გამგეობის აზრს. საკითხს კენჭი უყარეს. 10 ხმით წინააღმდეგ 13 ქოქუას წინადადება უარყოფილ იქნა.

შემდეგ მოხსენდა სხდომას სასკოლო კომისიის მოხსენება. საბჭომ დაადგინა: „სმეტა", რომლითაც 1911 წლიდან 1921 წლამდე ქალაქმა თანდათანობით უნდა გადადოს პირველ დაწყებითი სკოლებისათვის 1400 მან.

რადგან სავაჟო გიმნაზია ქალაქისაგან ბევრ ხარჯებს მოითხოვს, საბჭომ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა სახალხო განათლების მინისტრის წინაშე, რომ უკანასკნელმა მიიღოს აქაური გიმნაზია მის გამგეობაში. გამგეობის წინადადებით, საბჭო ადგენს, მისცეს გამგეობას უფლება, ბანკებში ისესხოს 45000 მანეთი მიმდინარე ხარჯთა დასაფარავად.

დასასრულ განხილულ იქნა საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის შუამდგომლობა, რომელიც ამბობს, რომ სახელოსნო, საბაღო და სადურგლო განყოფილების მასწავლებლები უნდა გაიგზავნონ რუსეთში, რომ იქ ხეირიანად გაეცნონ საქმეს. ინსპექტორი სთხოვდა საბჭოს 300 მ. დახმარებას, რომელიც ერთხმად გადაწყდა მიეცეს.

—ვალია.

იმერეთი

ს. ჭაგანი. ხუთი წელიწადი არის, რაც ს. ჭაგანში არსებობს უფასო სამკითხველო. ამ ხნის განმავლობაში სამკითხველოს ყავდა 50-60 მეტი წევრი და საწევრო ფულიც თავის დროზე შემოჰქონდათ. 1909 წლიდან თანდათან იკლო წევრების რიცხვმა—და, რასაკვირველია, საწევრო ფულმაც, ამიტომ დღეს სამკითხველო უკიდურეს მდგომარეობაში და სადაც არის სულსაც დალევს. საჭიროა შეგნებულმა პირებმა მიაქციონ ყურადღება სამკითხველოს ასეთ მდგომარეობას და წიგნებით თუ ფულით დახმარება აღმოუჩინონ. მადლობას ვსწირავ სევერიანე ხვიჩიას, რომელმაც დ. სამტრედიაში შეაგროვა სამი მანეთი სამკითხველოს სასარგებლოთ. მოვაგონებთ იმ წევრთ, რომელთაც ხალხის განათლებისთვის გული შესტკივათ ნუ დაიშურებენ თავიანთ წვლილს და დროზე შემოიტანონ საწევრო ფული.

სამკითხველოს გამგე
ვლადიმერ კოპალეიშვილი.

მუშათა შორის

ბორჯომი. არც ერთი დარგის მუშები არ არიან ჩაყენებულნი ისეთ სამუშაო პირობებში, როგორშიაც ძმათა მალიშევების შუშის ზავოდის მუშები.

მათი საცხოვრებელი ბინა წარმოადგენს თითო პატარა ოთახს (4 ოთხკუთხ. საჟ.) რომლებშიაც ოთხიდან-შვიდამდე მუშა ერთად სცხოვრობს. ოთახების სიდაბლე სიძველე, უსუფთაობა და სივიწროე, ჰიგიენური მხრით საშინელ სურათსა წარმოადგენს.

აქ მოზრდილ მუშებთან ერთად 80-პატარა ბავშვი მუშაობს 8—17 წლისანი. მათი ჯამაგირი დღეში უდრის 50 კაპ.,

ამ ყოვლად აუტანელ მდგომარეობას ვერ გაუძლეს მეტადრე ბავშებმა, ორ ამ თვეს გაიფიცენ და ხაზეინს შემდეგი მოთხოვნილება წარუდგინეს: 1. ორი შაურის მომატება, როგორც ეს წინეთ მათ „ზავოდის" კანტორა აძლევდა და 2. ოთახების შეკეთება-გასუფთავება. მეორე დღესვე დილით „ზავოდში" გამოცხადდენ ბოქაული თანაშემწით, სტრაჟნიკებით და კაზაკებით, რიცხვით 11 კაცამდის და შეუდგენ გაფიცულთა დაჭერას. თავზარდაცემული ბავშები აქეთ-იქით მიიმალენ. დაიჭირეს 16 დის ბავშვი და წაიყვანეს პოლიციაში. ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ყველანი განთავისუფლეს. შეშინებული ბავშები მესამე დღესვე შეუდგენ მუშაობას ისევ ძველ პირობებში.

კლდე

ლებონი და ტრამვაის მუშები. როგორც ვიცით, თფილისში ჩამოსული იყო ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი ბ. ლებონი, რომელსაც მინდობილი ქონდა ტრამვაის აწეწილ-დაწეწილი საქმეების მოწესრიგება. ამავე მიზნისთვის კავკასიის ნამესტნიკისაგანაც იყო დანიშნული, აგრეთ წოდებული მთავრობის კომისია. ბ. ლებონმა თავდაპირველათ გამართა მოლაპარაკება დეპოს მუშებთან, რომლებსაც წარუდგინა ისეთი სამუშაო პირობები, რომ მუშებს კი არა, საფაბრიკო ინსპექტორსაც მოუხდა შეტაკება ბ-ნ ლებონთან, მაგრამ როგორც იქნა, საფაბრიკო ინსპექტორის განმარტებით—არსებული კანონის თანახმათ, დეპოს მუშები შეუთანხმდენ ლებონს. შემდეგ ბ. ლებონმა წარუდგინა ახალი სამუშაო პირობები ელექტრონის სადგურის მუშებს, რომლებთანაც საქმე ძრიელ გამწვავდა. უკანასკნელად ჯერი მიდგა ტრამვაის მოძრაობის მუშებზე, რომლებზედაც სასტიკი იერიში მიიტანა ლებონმა. რათ მოიქცა ასე ლებონი? ამას დავინახავთ შემდეგიდან: მოძრაობის მუშები ითვლებიან თავისუფალ დაქირავებულებათ და ექვემდებარებიან სამოქალაქო კანონებს, მათ არ ყავთ განსაკუთრებული მეთვალყურე, როგორიც სახელოსნოს მუშებისთვის არის საფაბრიკო ინსპექცია. ბ. ლებონმა ისარგებლა ამ გარემოებით და კიდევ იმით, რომ მუშები ვერ წარმოადგენენ მთლიან სოლიდარულ ერთეულს და აგრეთვე ხელს არ უწყობს არსებული პოლიტიკური მდგომარეობა და არ მოისურვა თავის პოზიციიდან თუნდაც მეოთხედი ნაბიჯით უკან დახევა. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ბ. ლებონი არ აწარმოებდა მაზე მინდობილ საქმეს დამოუკიდებლათ ის დაიჭირა და სრულებით ემორჩილებოდა აგრეთ წოდებულ ტრამვაის კამარილას. რასაკვირველია, მოძრაობის მუშები ვერ შეურიგდებოდენ ლებონისაგან წარმოდგენილ პირობებს. ამიტომ ბ. ლებონმა დაიბარა მუშების წარმომადგენლები უკანასკნელათ და გამოუცხადა: „რა რომ ჩვენ შორის შეთანხმება არ მოხდა, ამიტომ საქმის კითხვები უნდა გადავიტანოთ მთავრობის კომისიაში, რომელიც ჩემს სამართლიანს და დასაბუთებულ პირობებს დაამტკიცებსო". ჩვენც მივმართეთ მთავრობის კომისიის თავმჯდომარეს თხოვნით დაეშვა ჩვენი წარმომადგენლები ახსნა-განმარტებისათვის, რაც კიდევაც შესრულებულ იქნა. მთავრობის კომისიამ განიხილა ლებონის პირობები, მოისმინა მუშებისაგან ახსნა-განმარტება და დაადგინა, რომ მათ დადგენილებას აქვს რჩევითი ხასიათი როგორც მუშებისთვის ისე დირექციისთვის. არც მუშებისთვის და არც დირექციისთვის მათი დადგენილება სავალდებულო არ არის. როგორც შემდეგში გავიგეთ, კომისიას წინადადება მიუცა ლებონისათვის, რომ მას ეს კომისიის დადგენილება ეცნობებია განცხადებით მუშებისათვის და კიდევაც გადაეცა განცხადების ტექსტი. მაგრამ ბ. ლებონი ასე არ მოიქცა. მან უკანასკნელათ დაიბარა მუშების წარმომადგენლები და გამოუცხადა: მთავრობის კომისიამ ის დაამტკიცა, რაც მე წარვადგინე და თქვენ ვალდებული ხართ დაემორჩილოთო. ამის შემდეგ ბ. ლებონი გაემგზავრა ბელგიაში და დირექტორის მოადგილე ბ. გისი აბეჭდვინებს ახალ პირობებს, რომლებსაც ამ დღეებში კიდევაც დაურიგებს მუშებს ხელის მოსაწერათ. აქედან აშკარათ სჩანს, როგორი ზომებით ცდილობს ლებონი და დირექციის კამარილა მუშების დამარცხებას. ამნაირათ, დირექციასა და მოძრაობის მუშებ შორის ჯერ არავითარი შეთანხმება არ მომხდარა და დამოკიდებულება ძრიელ გამწვავებულია.

ლუკა ჩავლეშვილი.

ფოთი. ჩვენდა სამწუხაროთ, არა ერთხელ აღგვინიშნავს ის არევ-დარევა და დაკნინება, რომელსაც რამდენიმე წლის განიცდიან აქაური ნოქრები. რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ქრება ის, რაც იყო მოპოვებული და თითქმის ყველა აქაური ნოქრები (გარდა ძალიან მცირე გამონაკლისა) დგება ძველ, ადამის ჟამის თვალსაზრისზე. ივიწყებს რა საერთო საქმეს, პირველ პლანზე აყენებს პირად ინტერესებს და ოცნებობს, თუ როდის დაუდგება ის ნეტარი დრო, როცა იგიც, ხვალ ადა ხაზეინი გახდება. ასეთ ფსიხოლოგიურ მომენტს განიცდიან აქაური ნოქრები (ძალიან მცირე გამონაკლისს გარდა) და ადვილი მისახვედრია თუ რა ზნეობრივ ერთეულს წარმოადგენენ იგინი დღეს. არიან მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ხედავენ რა, რომ საერთო ძალა აღარაა, არ არსებობს კავშირი და სოლიდარობა—საკუთარი პირადი ძალით ცდილობენ ჯიუტ ხაზეინების დამორჩილებას. ამის ილიუსტრაციაა შემდეგი ფაქტი: ერთ აქაურ ვაჭარს, ვასილ თოფურიძეს ყავდა ოთხი ნოქარი, რომლებსაც ძალიან მცირე ჯამაგირს აძლევდა: უფროს 30 მ. თვეში, მეორეს--180 მ. წლიწ. და ორ უმცროს 60 მ. წლიწადში. რა თქმა უნდა ასეთი მცირედი ხელფასი მეტათ უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა ნოქრებს და მათ არა ერთხელ მიუმართავთ უფროს ნოქარ ფ. და—თვის როგორც შეგნებულისთვის, დახმარებოდა მათ. და—მაც ყურად იღო მათი თხოვნა და გაუპირდა მოეთხოვათ ხაზეინიდან ჯამაგირის მომატება და თუ უკანასკნელი ამაზე არ დასთანხმდებოდა გაფიცულიყვენ ივნისის შუა. რიცხვებში. ნოქრებს მოაგვით სისრულეში თავის გადაწყვეტილება. თოფურიძე ვასილმა ყოველივე ეს უფროს ნოქარს ლ—ვას დაბარალა, მან კი უპასუხა, რომ მისი ამხანაგების მოთხოვნილობა სამართლიანია, თვითონ კი თავისთვის არას თხოულობს და მხოლოდ დანარჩენების მოთხოვნილებას მხარს უჭერს. ამ განცხადებამ ადა ვასილი მეტათ გააბრაზა, სულ დაითხოვა სამსახურიდან ლ—ვა, დანარჩენებს კი მოუმატა ჯამაგირი: რომელსაც ასოთხმოცი მან. დან ქონდა 360 მ. მისცა წელიწადში. დანარჩენებს კი ხუთ-ხუთი მანეთი მიუმატა. ამ გარემოებამ იმდენათ იმოქმედა ნოქრებზე, რომ მათ აშკარათ განუცხადეს ხაზეინს, ჩვენ რაკა გაბედავდით მოთხოვნას ან გაფიცვას, წეულ ფარნას, რომ არ დავეჯერებიეთ ამის აუცილებლობაშიო. ამ რიგათ 11 წლის სამსახურისთვის თოფურიძემ უკაპეიკოთ ქუჩაში გაისროლა ცოლშვილიანი ნოქარი. დღეს ლაპარტავას ცოლშვილი შიმშილით ეხოცება; არავითარი სახსარი მას არ გააჩნია და დახმარების მაგიერ ამ გულუბრყვილო ადამიანს მისი ამხანაგები (თოფურიძესთან დარჩენილები და სხვებიც) დასცინიან! „ასე უნდა, რას იტკივებდა თავს ოხრების გულისთვის", ზოგიერთები კი ამტკიცებენ: „ასე იცის უტაქტიკო მოქმედებამ"-ო. იმაზე დაპარკი მეტია ეხლა, ტაქტიკური იყო თუ უტაქტიკო მოქმედება, მხოლოთ ის კი ფაქტია, რომ თ-და მისი ამხანაგები ზნეობრივათ მდაბალი ხალხი გამოდგენ, თვითონ გაიუმჯობესეს თავისი მდგომარეობა და მათ ამხანაგს, რომელიც ასე ცდილობდა მათ დახმარებას, ქუჩაში უკრეს თავი. სამწუხაროა აგრეთვე ისიც რომ დანარჩენი აქაური ნოქრები ამ მეტათ სამწუხარო ინციდენტს სამარისებურის დუმილით შეხვდენ. ასეთია ფსიხოლოგიური რეაქცია ფოთელ ნოქრებში. ნუ თუ მას ბოლო არ ექნება?

ვალია.

ე. ნინოშვილის ფონდი

„ჯეჯილის" რედაქციამ მიიღო ფრანგიშვილისაგან შეკრებილი 1 მ. 80 კ. შემომწირველთა სია: ს. ჯავახაძემ 50 კ; ხუთ-ხუთი შაური: ვ. ოდილაძესაგან, ს. ბახიასაგან, იოსებ ლანიხელისაგან. თითო აბაზი: ლ. ბახიასაგან და ვ. თხილავასაგან და სამი შაური: ვ. მაღრაძესაგან.

2) „ჯეჯილის„ რედაქციამ მიიღო „ჩვ. აზრ." რედაქციისაგან ჭიათურის მაღაროების და სხვა მუშებში შეგროვილი კირ. სიხარულიძესაგან 7 მ. 35 კაპ. შემომწირველთა სია დაბეჭდილია № 33.

3) კიდევ მიიღო „ჯეჯილის" რედაქციამ ჩანგის" რედაქციისაგან ჯულფაში შეგროვილი და გამოცხადებული № 3.—9 მ. 25 კ.

4) კიდევ „ჩანგის" რედაქციისაგან (№ 3 გამოცხადებული) 7 მ. 5 კ.

5) კიდევ „ჯეჯილის" რედ. სტ. ჭრელაშვილისაგან მიიღო 5 მ. შემომწირველთა სია: ეკატ. ასათიანისაგან 2 მ. 20კ., ევა ასათიანისაგან 50 კ. ესტ. ასათიანმა 40 კ., ნ. ასათიანმა 20 კ., ნ. გიორგობიანმა 50 კ., ი. შუბლიძემ 50 კ., კ. თათარაშვილმა 50 კ., და ივ. ქელიძემ 20 კ.

6) „ჩვ. აზრ." რედაქციამ გადმოგვცა 72 მ. 70 კაპ. შემომწირველთა სია დაბეჭდილი ჰქონდათ № 44.

7) „ჯეჯილის" რედაქციამ კიდევ მიიღო ბათუმიდან მიხეილ გოგუასაგან შეგროვილი (ფოსტის ხარჯის გამოკლებით) 5 მ. 20 კ. შემომწირველთა სია: ათ-ათი შაური: მ. გოგუამ, ვ. გოცირიძემ, ამბ. ახობაძემ, ს. გოგიჩაიშვილმა, ლ. გიორგაძემ, ი. ბაშელეიშვილმა. ს. კუნჭულიამ და ბ. მანჯგალაძემ.—ფ. ქავთარიამ 35 კ. ექვს-ექვსი შაური: ნ. გოგუამ, ა. ფრანგიშვილმა ი. ჯაშმა და ვ. კაშიამ 20 კ.

8) „ჯეჯილის„ რედაქციამ კიდევ მიიღო ე. ნინოშვილის ძეგლის ასაგებათ ჭიათურიდან—კომიტეტის წევრ ნიკო წუწუნავასაგან 50 მ. შემომწირველთა სია: ირაკლი დეკანოზიშვილმა 5 მ. აფთიაქიდან იაშვილმა 3 მ., ი. კაკაბაძემ 3 მ; გ. ჭუმბურიძემ 2 მ; დ. აბაშიძემ 1 მ. 50 კ. თითო მანეთი: ვ. ხუროძემ, ს. ლეჟავამ, ანტ. აბაშიძემ, კ. მასხარაშვილმა, ალ. ჯაბიშვილმა, ბ. მელიქოვმა, ს. ტარუაშვილმა, გ. ნუცუბიძემ, ნ. ჯაყელმა, გ. ანთელიძემ, დ. ხაჯალიამ, გ. ნანეიშვილმა, ვ. ბარათაშვილმა, კ. წერეთელმა, ე. თაყაიშვილმა, ვ. ქორქაშვილმა, კ. კაკაბაძემ, ალ. გალუსტოვმა, მელ. ჩიქოვანმა, პ. დათებოვმა, ალ. მაოიაშვილმა, ვ. გომელაურმა, მ. წეროძემ, მღვდ. გერვასი ბარათაშვილმა, კირ. ოდიშარიამ, კონსტ. მაჭავარიანმა, ნ. ხვედელიძემ, ს. კაციტაძემ. ი. ბერიძემ 60 კ. ათ-ათი შაური: დ. წერეთელმა, ფ. დარჩიამ, გალ. ქოჩლაძემ, ყ-რ. გობრონიძემ, ნ. შვიდობაძემ, ს. ფილავამ, ილ. კორხეიძემ, დ. კლდიაშვილმა, ერემია ნიჟარაძემ, ე. იაკობაშვილმა, გალ. ქავთარაძემ, ა. მითაიშვილისა, რ. წუწუნავამ, მალ. ქოჩლაძემ 20 კ. ეფრემ არველაძემ 20 კ.

9) კიდევ მიიღო „ჯეჯილის" რედაქციამ ბალახანში შეგროვილი კნ. დადიანისაგან 13 მ. 90 კ. შემომწირველთა სია: თითო მანეთი: დარო მახარობლიძემ, ეფ. მესხი, მარო ქებაძემ, ქეთევან კახიძისამ, ვ. ქიქოძემ, ს. ჩიქოვანმა, ლ. მამულაიშვილმა, ვ. ემელიანოვმა და მიხ. თაქთაქიშვილმა. დავ. თედოშვილმა 90 კ. ლ. გრიგოლაშვილმა, 1 მან. ნ. პ. იოსელიანმა 2 მ. თავად მიქელაძემ 1 მ. სულ 172 მ. 25 კ. იყო 1441 მ. 51 კ. შედგა 1613, 76.

„ჩანგის" რედაქციამ მიიღო ე. ნინოშვილის ფონდის გასაძლიერებლად სოფელ ჭაგანში (იმერეთი) შეგროვილი 4 მ. 57 კ. შემომწირველთა სია: ერ. მანჯგალაძე 10 კ, ნ. არგველაძე 40 კ. ა. ხვიჩია 50 კ; ალ. შენგელია 50 კ; ს. შენგელია 5 კ; ს. გულდედავა 10 კ; ი. არსველაძე 10 კ; ვ. კოპალეიშვილი 50 კ; გ. მანჯგალაძე 50 კ; მ. არველაძე 20 კ; ს. ხვიჩია 15 კ; ი. ნიკურაძე 10 კ; ი. ზაქარიაძე 10 კ; მიხ. არველაძე 10 კ; იას. ზაქარიაძე 30 კ; უცნობი 40 კ; ილ. არველაძე 10 კ; მ. ფოცხვერია 10 კ; ვ. ფოცხვერია 10 კ; ალ. არველაძე 10 კ; ნ. ახობაძე 10 კ; რ. ფოცხვერია 10 კ. და ბ. ფოცხვერია 10 კ. სულ 4 მ. 80 კ. გამოსაგზავნი დაიხარჯა 23 კ. სულ 4 მ. 57 კ.

ბაკკი ხვიჩია.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო რედაქტორო! „ჩვენი აზრში" მოთავსებული წერილის—„მთავარ სახელოსნოს მუშების ახლანდელ ცხოვრებიდან" საპასუხოთ გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი:

არას ვიტყვი იმაზე, ითომც ჯამაგირიდან გამოკლების მიზეზი ის იყოს, რომ წერილის ავტორს, ბ. კალენდარს ჰგონია და არა მაღალი ფასები ტარიფისა, და სხვა რის უარყოფაც შეადგენს რკ. გზის ადმინისტრაციის მოვალეობას, შევეხები მხოლოდ ჩემდამი მიმართულ ბრალდებებს;

1) ხელოსნები და მუშები კვირაში მუშაობენ 3 დღეს რიგ რიგობით, ბრიგადირები თუმცა მუშაობენ 6 დღეს, (მე 3 დღეს ვმუშაობ) მარა ეს მარტო მათი სურვილით ან თვითნებობით არ მომხდარა. ეს ასე მოისურვეს ცეხების ხელოსნებმა, ამას მოითხოვდა საქმე. ამას გარდა, როცა ხელოსნებმა უთხრეს ყველა ზემო მოხსენებული მთავარ სახელოსნოს უფროსი ჟაზზეგს, მან განაცხადა, რომ არავითარი საწინააღმდეგო არ ექნება მას, თუ ბრიგადირებიც კვირაში სამ დღეს იმუშავებდენ, მხოლოდ მათ, (ბრიგადირებმა) პირობა უნდა დასდონ პასუხი აგონ ყოველივე არევ-დარევაში თუ ეს მოხდება სახელოსნოში მათი არ ყოფნის დროსო. ასეთ წინადადებაზე, აბა ვინ დაეთანხმებოდა და პასუხის მგებლობას თავის თავზე ვინ მიიღებდა ისეთ რთულ საქმეში, როგორც რკინის გზის საქმეა. თუ თქვენ, ბ. კალენდარო, ასე კარგათ იცით „ობოინის" სახელოსნოს წესები, ისიც გეცოდინებოდათ, რომ „ობოინის" ცეხი კვირაში მხოლოდ 3 დღეს მუშაობს, სხვა დღეებში დაკეტილია, აქედან თავის თავად ცხადია, შეიძლება თუ არა ჩემს ან ზოგიერთი ხელოსნების შესახებ დაპარაკი რაიმე პირად სარგებლობაზე. 2) ორი საზაფხულო ბაქანის მოსაწყობათ საწქართთ მუშაობა სწარმოებდა ვაგონის ცეხის ხელოსანმა ბრძანება გასცა დაეტოვებიათ 15 მუშა და ემუშავნათ რამდენიმე დღე რიგს გარეშე. მე ვსთხოვე ხელოსანს ნება დაერთო ჩემთვის დამეტოვებია სამუშაოთ მთელი ბრიგადა, მაგრამ ნება არ დამრთეს. ამ 15 კაცში მე მსურდა დამეტოვებია მცოდნე პირნი და არა ისეთები, რომლებიც გადმოყვანილი არიან შავ სამუშაოებიდან და რომლებიც ხელოსნებათ იწოდებიან რადგაც გაუგებრობით. 3) გაზეთების კითხვის შესახებ შემდეგს მოგახსენებთ: თუ თქვენ გაზეთების კითხვა გაინტერესებათ იმ დროს, როცა მთელი ბრიგადა მუშაობს და თქვენი სურვილი სისრულეში მოგყავთ ეს არ არის პატიოსნური საქციელი. მარტო მე რომ მეხებოდეს ეს, მაშინ კიდევ შეიძლებოდა ამ უხერხულობიდან გამოსვლა, მარა ასეთი თქვენი, გინდ ზოგიერთების საქციელით ზარალობს მთელი ბრიგადა, რომელთა ინტერესები მინდობილი მაქვს მე ამიტომ მუშაობის დროს გაზეთის კითხვის ნებას არ დავრთავ. გაზეთის კითხვა შეიძლება საუზმის დროს. ამას გარდა, გთხოვთ დაგვისახელოთ ერთი მაგალითი მაინც როცა გაზეთის კითხვისათვის მუშა დავითხოვეთ და ისიც ჩემი ჩვენებით. ამ დღეებში ოთხმა ხელოსანმა „ობოინაში" მუშაობის დროს წიგნის კითხვა დაიწყო ბაპტისტების სარწმუნოების შესახებ, მე მართლა ვუთხარი მათ, რომ თუ არ დაანებებდენ თავს წიგნის კითხვას მათ საქციელს მოვახსენებდი ხელოსანს, რისთვისაც მათ, რასაკვირველია, სამსახურიდან არ დაითხოვდენ. გამოტყდით ბ. კალენდარო, ამ ოთხში თქვენც ხომ არ ითვლებით?

ყველასთვის ცხადია, რომ უმთავრეს სახელოსნოში დისციპლინა ყველასათვის ერთია. თქვენი წერილი-თავიდან ბოლომდე მიმართულია ჩემს წინააღმდეგ, [illegible] გსურთ ჩემი პიროვნების გათელვა და ამისათვის ყალბ ცნობებს აწვდის გაზეთს, მარა მე ამით ზიანს ვერ მომიტანთ, ვინაიდან მოსამსახურეები მე კარგ კაცათ მიცნობენ.

И. Григорьевъ (ი. გრიგორიევი).

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც დახმარება აღმოგვიჩინეს ახეთის უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვაში.

30 აპრილს დ. ზუგდიდში გაიმართა წარმოდგენა ზემოხსენებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ. საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდა ამ საქმეს, რაიც გამოიხატა ადგილობრივი საკრებულო შენობის უფასოდ დათმობით, საზოგადოების ბლომათ დასწრებით და კერძო შემოწირულებებით. გამგეობდა კნ. ც. ერისთავისა. დიდი შრომა მიიღეს თავისი დახმარებით ქქ-ბბ. ნ. მუჯირისამ, მ. ჩარავასამ, ს. შავგულიძემ და ო. აფაქიძემ, რომელთაც უღრმეს მადლობას ვსწირავთ. ხოლო ქქ-ბბ. ნ. კაკაბაძეს და მ. კეიდიას და ბბ. კ. მაჭავარიანს, კ. ბუკიას, კ. ბერიძეს, აპ. ჯიქიას, ი. კეიდიას, თ. ხვიტიას, გ. კეიდიას, დ. თოლორაიას, დ. ჩიქოვანს, თ. კეიდიას და კ. კაკულიას გულითად მადლობას ვსწირავთ იმ დიდი შრომისათვის, რაიც მიიღეს თავისი მონაწილეობით ზოგმა პიესაში და ზოგმაც „ხოროში", რომელმაც იმღერა სპექტაკლის შემდეგ.

კეთილ ინებეს და შემოსწირეს ამ ჩვენ ღარიბ ბიბლიოთეკას ფ. ფოჩხაიამ სამი მან., ვ. ალშიბაიამ, ა. ალშიბაიამ და ლ. აფაქიძემ თითო მანეთი, ხოლო ბ. უგულავამ რამოდენიმე ქართული და რუსული წიგნები. წარმოდგენიდან წმინდა შემოსავალი დაგვრჩა 81 მ. 55 კ. რაიც უკვე ჩაბარდა ბ.—სამკითხველოს გამგეს პ. პაპასკირს.

არიადნა ჯონტაბერიძე და მ. ვეკუა.

ბ. რედაქტორო! „ჩვენი აზრის" № 48 „ახალ ამბებში" ვგონებ, პოლიციის ცნობებიდან მოთავსებული იყო ცნობა ვითომ 3 ივლისს საღამოს 11 საათზე ქუთაისის გუბერნიის გლეხს ალექსანდრე ჯარიეშვილს მოეტანოს ჩემთან 10 მანეთის ნივთები შესანახათ და დაბრუნებისას მე უარი მეთქვას მისთვის. ეს შენიშვნა არ შეესაბამება სინამდვილეს. საქმე ასე იყო: პირველ ივლისს მე ვიყიდე ალექსანდრე ჯარიეშვილისაგან ერთი კალათი ატამი და ხვედრი ფულიც მივეცი, ჯარიეშვილმა მთხოვა კალათი ერთი წამით შემენახა და მერე წაიღებდა. გავიდა სამი დღე და როცა კალათის წასაღებათ მოვიდა მე დავუბრუნე მისივე კალათი, მაგრამ არც ამ ჟამათ წაიღო და განაცხადა, რომ ამ წუთსავე წაიღებს. მთელი 15 წუთი ჩემი დუქნის წინ იტრიალა და როცა ისევ მოვიდა დუქანში და კალათი მომთხოვა და მეც დავუბრუნე მომდო შარი, რომ ვითომ მას კალათში ნივთები ქონოდეს და მე მიმეთვისებიოს, რამაც შედეგათ გამოიწვია ჩემი დაპატიმრება ერთი დღე ღამე უდანაშაულოთ გავატარე საპოლიციო ნაწილში და როცა საქმის ნამდვილი გარემოება გამოიკვლიეს კიდევაც გამანთავისუფლეს და დღეს ბ. ჯარიეშვილზე საჩივარი ავღძარ სასამართლოს წინაშე ჩემი პატიოსნების შელახვისათვის.

ელისაბედის ქუჩაზე № 146 სახლში მოვაჭრე
ქიტესა იობაშვილი.

შემოწირულება.

კუკიის სახალხო ბიბლიოთეკის (ავჭალის ქუჩა № 39) გამგე უღრმეს მადლობას უძღვნის ამხ. „რეკტიფიკატის" ქარხნის მუშებს, რომლებმაც ხსენებულ ბიბლიოთეკას შემოსწირეს 300-მდე ცალი რუსული, ქართული და სომხური წიგნები.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. დადიშკელიანი.

განცხადებანი

სპერმატინის და ალმეზას
საწყობი გადატანილია ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, **ნეკრასოვის ქ. № 14.** 30—15

მასწავლებელი
თ. ქიქვაძე
ამზადებს ქალ-ვაჟთ **გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო, მიწის მზომელთა და იუნკერთა** სასწავლებლებისათვის, **კადეტთა კორპუსისა, სამასწავლებლო ინსტიტუტისა, საბუღალტერო** კურსებისათვის, **სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის ხაშეგირდოთ.**
პატარა ბავშვების ჯგუფში მიიღებიან **ანბანის უცოდინარი** ბავშვები.
სპეციალური მომზადება ქართული გიმნაზიისათვის.
ადრესი: ვერა, ოლღის ქუჩა ზემელის აფთიაქის ახლო, № 17. (0—6)

სჟრაზანი" მადათოვის კუნძულზე. სტამბა „ტელეფონი № 539.